შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის მიერ
ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: თამთა კვინიკაძე
წევრები:
სახელი, გვარი ელენე კაკაბაძე
სახელი, გვარი ხათუნა მაისაია

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შ.პ.ს.,,მარნეულის სამედიცინო კოლეჯი''
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შ.პ.ს.
საიდენტიფიკაციო კოდი: 405337880

სახე:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. კვინიკაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე. კ.ყ.ბ.ძ

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე :</u>

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

■ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
საექთნო განათლება	100	90	0
ფარმაცია	64	47	1

IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 24 ოქტომბრის N1348177 ბრძანებით(ცვლილება ბრძანებაში 01.11.2022წ. ბრძანება N 1386521), ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შ.პ.ს. მარნეულის სამედიცინო კოლეჯის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ დებულების“ 31-ემუხლის, მე-2 პუნქტის „ა“,“გ“,“დ“,”ე“ ქვეპუნქტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “საექთნო განათლება ” ავტორიზაციის დებულების“ 31-ემუხლის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისობის შეფასებით. (გეგმიური მონიტორინგი). ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტების მიერ ინსტიტუციური სტანდარტების შემოწმება განხორციელდა 2022 წლის 2და 3 ნოემბერს, ხოლო პროგრამული სტანდარტის შემოწმება ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებისა და დარგის ექსპერტის მიერ განხორციელდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2022 წლის 4 ნოემბერს. დაწესებულების ინფრასტუქტურისა და მატერიალური რესურსების დათვალიერება განხორციელდა, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტთა მიერ, ასევე დარგის ექსპერტის მიერ. ცენტრის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისობის მიზნით ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის ჩატარდა წინასწარი შეხვედრა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების (ZOOM) გამოყენებით, სადაც განხილული იქნა დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაცია, შეჯერებული იქნა საყურადღებო საკითხები და შემუშავებული იქნა ვიზიტის განრიგი. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა განრიგის შესაბამისად, რომლის ფარგლებში ექსპერტები დაწესებულებაში გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე, მატერიალური რესურსების მართვაზე, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვაზე, საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელ პირებს, IT სპეციალისტს, ბიბლიოთეკარსა და პროგრამის ხელმძღვანელს და სხვა. ექსპერტებმა შეისწავლეს ავტორიზაციის სტანდარტებსა და „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, დაათვალიერეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ბიბლიოთეკა და სხვა. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, კოლეგიალურ და საქმიან ვითარებაში. დაწესებულებას ვიზიტის დროს არ ქონდა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული შესაბამის ორგანოსთან , ასევე არ ქონდა საქმისწარმოების ელექტრონული წესი ამიტომ 5.1.2.3. და 5.2.2.2. ინდიკატორები დასკვნის პროექტში შეფასდა „არ შეესაბამება“ , თუმცა არგუმენტირებული პასუხისას დაწესებულებამ წარმოადგინა, როგორც შესაბამისობის გეგმა დამტკიცებული 11.11.2022 დირექტორის N 01/64 ბრძანებით ასევე შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და არგუმენტირებული პასუხი გამოაგზავნა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის EFLOW ს საშუალებით. ექსპერტები გავეცანით დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას და თანდართულ დოკუმენტაციას და 5.1.2.3. და 5.2.2.2. ინდიკატორები შევაფასეთ როგორც „შეესაბამება''

V. ავტორიზაციის 1-ელ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	შეესაბამება
1.1) პსდ-ს მისია		შეესაბამება
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება		შეესაბამება
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	შეესაბამება
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა		შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები		შეესაბამება
4) ადამიანური რესურსები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	შეესაბამება
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა		შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება		შეესაბამება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	შეესაბამება
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა		შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები		შეესაბამება
5.3) ფინანსური რესურსები		შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საუკეთესო გამოცდილება არ დაფიქსირებულა

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა *(ასეთის არსებობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან გამომდინარე)*

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა

X. . განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 1.2.1-1

- სასურველია დაწესებულებამ სამოქმედო გეგმასა და სტრატეგიულ გეგმაში დაიცვას ერთიანი მიდგომა რაც გულისხმობს, რომ სამოქმედო გეგმაში, მაგსვსად სტატეგიული გეგმისა, განმახორციელებლის გრაფაში ჩაიწეოს სტუქტურული ერთეულის ან შესაბამისი თანამდებობის დასახელება და არა სახელი და გვარი, რესურსების გრაფაში მიეთითოს ადამიანური, ფინანსური ან მატერიალური რესურსის დასახელება.

ინდიკატორი 2.2.1-7

- სასურველია დაწესებულების ადმინისტრაციამ გადახედოს ბიუჯეტის ხარჯებს და შეიტანოს ისეთი მნიშვნელოვანი მუხლი, როგორიცაა პროგრამის/განმახორციელბელი პირების განვითარებისთვის გასაწევი ხარჯები.

ინდიკატორი 2.2.1-1

- პრაქტიკის ობიექტებთან გასაუბრებით გამოიკვეთა , რომ მათ აქვთ ის მატერიალური რესურსი , რაც საჭიროა მოდულების განსახორცილებლად , თუმცა სასურველია - პრაქტიკის განმახორციელებელ კლინიკებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს დანართის სახით ახლდეს პარტნიორი ორგანიზაციების მიერ პრაქტიკის ინდიკატორისთვის გამოყოფილი მატერიალური რესურსის ნუსხა.

ინდიკატორი 2.4.2.2

- სასურველია, დაწესებულებამ ვერივიკაციის მექანიზმში გაწეროს ვერიფიკაციის პერიოდულობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.2.1-6

დაწესებლებაში შემუშავებულია სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის მექანიზმი, სადაც მოიაზრება სტუდენტების საჭიროებების გათვალისწინება. კოლეჯში ამ დრომდე არ დამდგარა სტუდენტებისათვის სასწავლო რესურსების ადაპტირების საჭიროება , თუმცა სასურველია დაწესებულებამ უფრო დეტალურად გაწეროს სასწავლო რესურსის ადაპტირების მექანიზმი (მაგ., სპეციალური პროგრამა კითხვისათვის, უსინათლოებისა და მცირე მხედველთათვის და ა.შ.)

ინდიკატორი 4.1.1.-1

- *სასურველია განხორციელდეს კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა და ტექნიკური უზუსტობების გასწორება.*

ინდიკატორი 5.1.1-1

- სასურველია დაწესებულებამ მოახდინოს შ.პ.ს.,, მარნეულის სამედიცინო კოლეჯის უსაფრთხოების წესის" გადახედვა და გაწეროს ყველა სამუშაო , რომელსაც ახორციელებს.

ინდიკატორი 5.3.1-1

- სასურველია რომ სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში გაიწეროს ფინანსური ნაწილი, რათა ნათლად ჩანდეს ყველა ინდიკატორის ფინანსური უზრუნველყოფა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- XI. სტანდარტების შეფასება

1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში.

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს, კერძოდ: განახორციელოს საქართველოს სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო პროფილის საგანმანათლებლო პროგრამები და სხვადასხვა მიმართულების პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები, რითაც ხელს შეუწყობს ქვეყნისა და ქვემო ქართლის რეგიონში კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებასა და დასაქმებას. იზრუნოს პროფესიული განათლების პოპულარიზაციაზე და ხელი შეუწყოს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლას; მოამზადოს მაღალკვალიფიციური , ლიბერალური ღირებულებების საზოგადოების აქტიური წევრები, განუვითაროს მათ პროფესიული უნარები და უზრუნველყოს მათი კონკურენტუნარიანობაზე დასაქმების ბაზარზე;
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან კერძოდ:

დაწესებულების მისიით განსაზღვრულია მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულება. დაწესებულებაში ხორციელდება სამედიცინო პროფილის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, როგორიცაა, ფარმაცია და საექთნო განათლება. მისია არის გასაგები და მამოტივირებელი, ამასთან, კვალიფიციური კადრების მომზადებით, ხაზს უსვამს ზოგადად ქვეყნისა და რეგიონისთვის საზოგადოებრივი სიკეთის შექმნაზე ორიენტირებულ მიდგომებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები, კერძოდ : კოლეჯის ხედვის შესაბამისად ჩანს, რომ 2028 წლისათვის იქნება საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც სწავლების თანამედროვე მეთოდებით , საგანმანათლებლო პროგრამებითა და მრავალფეროვენი სერვისებით პასუხობს საქართველოსა და ქვემო ქართლის რეგიონის წინაშე არსებულ გამოწვევებს, ემსხურება სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას, ხელს უწყობს ადამიანურ ღირსებას, უნივერსალურ ადამიანურ კოლეჯის ფუნქციონირების საფუძველსა და მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს 5 მთავარი ღირებულება: საყოველთაოდ აღიარებული ეთიკის ნორმებისა და პრინციპების დაცვა; პროფესიული ცოდნის გადაცემის უკომპრომისო ვალდებულება; მაღალკვალიფიციური პროფესიული მასწავლებლის ა და ადმინისტრაციული პერსონალის ურთიერთდახმარების ვალდებულება; მაღალკვალიფიციური პროფესიული მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის ურთიერთდახმარების ვალდებულება, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება ჩვენს ხედვასა და მისიას; აუდიტორიული/ საკლასო განათლების კომბინაცია ,, რეალურ სამყაროს'' გამოცდილებასთან პრაქტიკული უნარ ჩვევების გამომუშავებით; ძლიერი კოლაბორაციული ურთიერთოებები კერძო სექტორთან, მთავრობასთან, არსამთავრობო ორგანიზაციებთან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი,

კერძოდ: ექსპერტთა მიერ ვიზიტის ფარგლებში ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუს და მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადასტურდა, რომ მისიის შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესი იყო და შემუშავებაში ჩართული იყვნენ კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებთანაც დაწესებულების მიერ დაგზავნილი იყო განსახილველად მისია, ხედვა და ღირებულებები. ასევე ჩართულ პირებს დაეგზავნათ შესაბამისი კითხვარები უკუკავშირის მისაღებად. მისია ხელმისაწვდომია დაწესებულების ვებ-გვერდზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების ვებგვერდზე გაზიარებული მისია, ხედვა და ღირებულებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები;
- დაინტერესებულ მხარეების ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა.

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულება განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას. კერძოდ:
შპს ,,მარნეულის სამედიცინო კოლეჯის' დირექტორის 2021 წლის 05 თებერვალი ბრძანება N01/05 ით დამტკიცებულია, სტრატეგიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაგეგმარების მეთოდოლოგია. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა აღნიშნული დოკუმენტი და ჩატარდა კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრება, რის შედეგადაც დადასტურდა, რომ სტრატეგიული პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის, მათ მიერ შემუშავებული იქნა მეთოდოლოგია, რომლის მთავარ ორიენტირად მაქსიმალური ჩართულობა იქნა განსაზღვრული. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს სტარტეგიული დაგეგმვის მიზანს, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესსა და ეტაპებს, სტარტეგიული განვიარებისა და შეფასების შედგებზე რეაგირების მექანიზმს. სტარტეგიული დაგეგმვის პროცესი უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების ჩართულობას შეფასებისა და პრიორიტეტების განსაზღვრის დონეზე და ხელს უწყობს ორგანიზაციული კულტურის განვითარებას. შესაბამისად, დაწესებულება ხელმძღვანელობს მის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **დაწესებულებას გათავისებული აქვს, რომ სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის და რეგიონის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს,** რის საპასუხოდ იგი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შედგენისას იყენებს მეთოდოლოგიას, რომელშიც გაწერილია პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა, რაც დასტურდება დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით, გასაუბრება შედგა დაწესებულების დირექტორთან, ადინისტრაციის წევრებთან და რომელებიც ასევე ჩართულები იყვნენ სტარტეგიული გეგმის შემუშავების პროცესში. ასევე, დაწესებულებამ წარმოადგინა გაზიარების დოკუმენტაცია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს, კერძოდ:** დაგეგმვისას დაწესებულებას სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრავრული აქვს მისიასთან თავსებადი მიზნები:1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება;2. სტუდენტური სერვისების განვითარება; 3.მართვის პროცესების გაუმჯობესება და პროფესიული განვითარება;4. ინფრასტრუქტურის განახლება; ამ მიზნების შესაბამის მიზნის მისაღწევი გზები, განხორციელების ვადები და შესრულების კრიტერიუმები. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს კონკრეტული ამოცანები, განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და განსახორციელებელი აქტივობები. ასევე დაწესებულებას აქვს სამოქმედო გეგმა, რომელშიც არაა სრულიად ასახული ზემოთჩამოთვლილი ინფორმაცია, ასევე რესურსების გრაფაში მითითებული ინფორმაცია არ წარმოადგენს რესურსს არამედ შესრულების ინდიკატორია. გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია , რომ **სამოქმედო გეგმასა და სტრატეგიულ გეგმაში დაიცვას ერთიანი მიდგომა, შესაბამისად განმახორციელებლის გრაფაში ჩაიწეოს სტუქტურული ერთეულის ან შესაბამისი თანამდებობის დასახელება და არა სახელი და გვარი, რესურსების გრაფაში მიეთითოს ადამიამური, ფინანსური ან მატერიალური რესურსის დასახელება.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს ,,მარნეულის სამედიცინო კოლეჯის' დირექტორის 2021 წლის 05 თებერვალი ბრძანება N01/05 ით დამტკიცებულია, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების ოქმი;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით;

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით კერძოდ:** სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება დაწესებულების მიერ გაწერილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაკვირვებით და შეფასებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ფასდება დაწესებულების სტარტეგიის დაგეგმილი მიზნების მიღწევადობა და ეფექტურობა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აანალიზებს შედეგებს და შესაბამის ანგარიშს წარადგენს დირექტორის წინაშე. განსაზღვრული შეფასების შედეგებიდან გამომდინარე შესაძლებელია განხორციელდეს სტარტეგიული მიზნების გადახედვა. სტრატეგიული გეგმის არაგეგმიური გადახედვა/შეფასება შესაძლებელია ინიცირებულ იქნას დირექტორის მიერ, შესაბამისი გარემოებების/დასაბუთების შემთხვევაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე, კერძოდ: საჭიროების შესაბამისად, ხდება სტრატეგიის გადახედვა და საჭიროების მიხედვით კორექტირება. აღნიშნული პროცედურა გაწერილია დაწესებულების შესაბამის მეთოდოლოგიაშიც. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფს მიეცა საშუალება უკვე 2020, 2021 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიშის გაცნობის, სადაც აღწერილი იყო სხვადასხვა აქტივობები/ღონისძიებები, დაწესებულების მიერ განხორციელებული და ასევე მომავალი წლისათვის განკუთვნილი, რომელიც მიმდინარე წელს არ იქნა სრულყოფილად შესრულებული, მათ შორის პანდემიური გარემო ფაქტორებიდან გამომდინარე. აღნიშნულიდან გამომდინარე ეს ღონისძიებები გადატანილი იქნა შემდეგი წლის სამოქმედო გეგმაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულების სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია ანგარიშის სახით, რომელიც განთავსებულია ვებგვერდზე 2020 წლის და 2021 წლის სამოქმედო გეგმების ანგარიშები ხელმისაწვდომია ვებგვერდზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შ.პ.ს. ,,მარნეულის სამედიცინო კოლეჯის'' დირექტორის 29.12. 2021 წლის N 01/83 ბრძანებით დამტკიცებული 2022 სამოქმედო გეგმა;
- შ.პ.ს. ,,მარნეულის სამედიცინო კოლეჯის'' დირექტორის 12.06. 2019 წლის N 7 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ;
- 2020 და 2021 წლების სამოქმედო გეგმების ანგარიშები;
- ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია.

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის /კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა.

პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონით განსაზღვრული გარანტიები ასახულია შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2022 წლის 6 ივლისის N 01/29 ბრძანებით. წესი არეგულირებს სასაწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს: ჩარიცხვის პროცედურას და სტუდენტის სტატუსის მოპოვებას, სასწავლო ხელშეკრულებას, პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უფლებებს და მოვალეობებს, სტატუსის შეჩერებას, სტატუსის შეწყვეტას, მობილობას, სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარებას და კვალიფიკაციის მინიჭებას, პირის მიერ ფორმალური განათლების ფარგლებში მიღებული სწავლის შედეგების აღიარების პრინციპებს, არაფორმალური განათლების აღიარებას, კოლეჯის ავტორიზაციის ვადის გასვლის/გაუქმების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შცვლის/გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესს, პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შფასების წესს და სხვა სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“, „შინაგანაწესში“, „ეთიკის კოდექსში“ და „პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებში“ გაწერილია პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უფლებები და მოვალეობები. აღნიშნული გათვალისწინებულია სტუდენტთან გაფორმებულ სასწავლო ხელშეკრულებაშიც.

პროფესიულ სტუდენტებთა გასაუბრების დროს დადასტურდა, რომ სასწავლო პროგრამაზე სწავლის დასაწყიში, როდესაც ხელი მოაწერეს სასწავლო ხელშკრულებას ისინი გაეცნენ მათ უფლებებს და მოვალეობებს, რაც ხელმოწერით დაადასტურეს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.

კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარგულირებელი წესის“ თანახმად პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას შეფასების პროცედურისა და ინსტრუმენტის/ინსტრუმენტების შესახებ. პროფესიული სტუდენტი შეფასების შედეგის გაცნობიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში აპელაციის წესით ერთჯერადად ასაჩივრებს შეფასების შედეგს დირექტორის სახელზე. დირექტორის ბრძანებით იქმნება სააპელაციო კომისია და საკითხის განხილვის ვადა არ აღემატება ორ კვირას. საკითხის განხილვის შესახებ ეცნობება საჩივრის ავტორს და განემარტება მისი უფლება-მოვალეობები აღნიშნული განხილვის ფარგლებში.

პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ისინი პროფესიული მასწავლებლის მხრიდან არიან ინფორმირებულები, როგორც შეფასების სისტემის ისე აპელაციის პროცედურების შესახებ, თუმცა მსგავსი საჭიროება მათ პირადად არ ჰქონიათ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა.

ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შერჩევითობის პრინციპით გადამოწმდა კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული სასწავლო ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს. არასრულწლოვან სტუდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებას ხელმოწერით ამოწმებს მისი წარმომადგენელი.

ხელშეკრულების ბოლოში სტუდენტი ხელმოწერით ადასტურებს, რომ გაეცნო მის ელექტრონულ ფოსტაზე გადაგზავნილ კოლეჯის შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსს და სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი“ წესი ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პირობებს და პროცედურებს, კერძოდ, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მოთხოვნით პროფესიული სტუდენტი განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს და აწვდის ინფორმაციას, რომელიც საჭიროა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისთვის. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას შეიმუშავებს პროგრამის ხელმძღვანელი და წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც ამოწმებს და ადგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისობას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან და კოლეჯის რეგულაციებთან. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციების/შენიშვნების არსებობის შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უბრუნდება პროგრამის ხელმძღვანელს მითითებული რეკომენდაციების/შენიშვნების გასათვალისწინებლად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი შეფასების შემთხვევაში ინდივიდუალლური სასწავლო გეგმა გადაეცემა კოლეჯის დირექტორს დასამტკიცებლად.

ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში მითითებულია: მოდულის/მოდულების სტატუსი; მოდულის/მოდულების დასახელება; მოდულზე დაშვების წინაპირობა; კრედიტების რაოდენობა; სასწავლო პროცესის ხანგრძლივობა და კრედიტების გადანაწილება აღნიშნულ პერიოდზე; შეფასების ფორმები და პირობები; მოდულის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსები და სხვა.

კოლეჯის წარმომადგენლებთან ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ ერთი შემთხვევა დაფიქსირდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გამოყენების და წარმოადგინეს დოკუმენტაცია, რომელიც შედგენილი იყო აღიშნული წესით განსაზღვრული პირობებისა და პროცედურების შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი“ (დამტკიცებულია დირექტორის 2022 წლის 6 ივლისის N 01/29 ბრძანებით);
- კოლეჯის შინაგანაწესი (დამტკიცებულია დირექტორის 2021 წლის 5 ოქტომბრის N 01/60 ბრძანებით);
- კოლეჯის ეთიკის კოდექსი (დამტკიცებულია დირექტორის 2021 წლის 28 მაისის N 01/28 ბრძანებით);
- კოლეჯის „პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები“;
- პროფესიულ სტუდენტებთან, მათშორის არასრულწლოვან სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები;
- პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის ფორმები (კითხვარები);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ანგარიშები გამოკითხვის შედეგებზე რეაგირების და განხორციელებული აქტივობების შესახებ;
- კოლეჯის ვებ-გვერდი;
- კოლეჯის პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მომსახურება.

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, პროფესიული სტუდენტი კვალიფიციურ კონსულტაციას იღებს უფლებამოსილი პირისაგან სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერი საკითხის შესახებ. პროფესიულ სტუდენტს კონსულტირების მიღების შესაძლებლობა აქვს პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურისგან. დაწესებულება ახდენს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა სწავლის შედეგების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დადასტურება, განმეორებითი შეფასების თარიღები, პრაქტიკული ინდიკატორის დაწყებისა და დასრულების პროცესში განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პროფესიული სტუდენტი განმავითარებელი შეფასებების ეტაპზე დაწესებულებისგან მუდმივად იღებს მხარდაჭერას სწავლის მიღწევების გასაუმჯობესებლად. პროფესიული განათლების მასწავლებელი საჭიროების მიხედვით, მართავს ინდივიდუალურ შეხვედრებს იმ პროფესიულ სტუდენტებთან, რომლებსაც რაიმე ტიპის პრობლემა აქვთ სწავლის შედეგის მიღწევისას. ამისათვის მასწავლებელი პროფესიული სტუდენტთან ერთად განიხილავს აღნიშნული შედეგის გაუმჯობესების შესაძლებლობებს. დაწესებულების წარმომადგენლებსა და პროფესიულ სტუდენტებთან შეხვედრისას, დადგინდა, რომ დაწესებულება პროფესიული სტუდენტების კონსულტირებას აქტიურად ახდენს სხვადასხვა საკითხებთან, მათ შორის აკადემიურ მიღწევებთან დაკავშირებით. პროფესიულ სტუდენტთა დასაქმებასთან, ვაკანსიების მოძიებასთან, CV-ის შედგენასთან დაკავშირებით კონსულტირებისთვის შეუძლიათ მიმართონ სტუდენტთა/მსმენელთა მომსახურების, უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების ცენტრს, რომელიც აქტიურ დახმარებას უწევს პროფესიულ სტუდენტებს.
წარმოდგენილი მექანიზმები და აქტივობები დადასტურდა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, სასწავლო პროცესის სამსახურთან, სტუდენტთა/მსმენელთა მომსახურების, უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების ცენტრის უფროსთან, პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

დაწესებულებას შემუშვებული აქვს „სტუდენტთა ადაპტაციის და სოციალიზაციის მექანიზმები“, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2021 წლის 17 მაისის N 01/27 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად ხორციელდება კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაცია და სოციალიზაცია სასწავლო გარემოსთან. პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაცია-სოციალიზაციაზე პასუხისმგებელი პირებია: სასწავლო გარემოს შესახებ - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, უსაფრთხოების წესების დაცვის შესახებ - უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, სტუდენტური ცხოვრების შესახებ - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი. ახალი სტუდენტის ადაპტაცია ეტაპობრივად ხორციელდება და იწყება ჯერ კიდევ კოლეჯში ჩარიცხვამდე, როდესაც კანდიდატს უყალიბდება მოლოდინები და წარმოდგენები კოლეჯის შესახებ და საფუძვლად ედება შემდგომი ადაპტაციის პროცესს. პირველი სასწავლო დღე პროგრამის ხელმძღვანელთან, კოლეჯის დირექტორთან და ადმინისტრაციის თანამშრომლებთან შეხვედრით იწყება. მოკლე შეხვედრის ფარგლებში დირექტორი ესაუბრება პროფესიულ სტუდენტს დაწესებულებაში დამკვიდრებულ წეს-ჩვეულებებზე, კულტურის საკვანძო ღირებულებებსა და სხვა ზოგად თემებზე. შემდეგ სტუდენტებს აცნობენ კოლეჯის ინფრასტრუქტურას. ადამიანური რესურსების სამსახურის წარმომადგენელი მოკლე ექსკურსიას უწყობს შენობაში - აჩვენებს სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აუდიტორიებსა და ლაბორატორიებს, სველ წერტილებს და სხვა მნიშვნელოვანი ადგილების მდებარეობას. კონკრეტული პროფესიული სტუდენტის სოციალიზაციის ღონისძიებებს გეგმავს სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი.
სასწავლო გარემოსთან პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციის ღონისძიებების გამოყენება დადასტურდა პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროგრამის ელმძღვანელთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიურების დროს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

კოლეჯის ვებგვერდზე სტუდენტთა მხარდაჭერის რუბრიკაში განთავსებულია შემდეგი დოკუმენტები: პროფესიული სტუდენტის გზამკვლევი, ინფორმაცია სსსმ და შშმ პირებისთვის, სტუდენტური სერვისები, სტუდენტთა ადაპტაციისა და სოციალიზაციის მექანიზმები, ელექტრონული კითხვარი, სასწავლო ხელშეკრულების ნიმუში. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია პროფესიული სტუდენტებისათვი შეთავაზებული მომსახურებებისა და პროცედურების (სარეგისტრაციო, მობილობის, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გასაჩივრების და სხვა) ვადები. დაწესებულება აღნიშნული სერვისების მიწოდებით ხელს უწყობს სტუდენტის მიერ განათლების შეუზღუდავად მიღების შესაძლებლობას. ასევე ხორციელდება ადმინისტრაციული მხარდაჭერა (დიპლომის, სერტიფიკატის, ცნობის გაცემა. მობილობის ხელშეწყობა, წინარე განათლების აღიარება, სააპელაციო საჩივრის განხილვა და ა.შ.).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას.

კოლეჯის ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია წარადგინოს არაფორმალური აქტივობების შესახებ ინიციატივა. დაფინანსების მოპოვების მიზნით წარმოდგენილი ინიციატივა/არაფორმალური განათლება/პროექტი შეიძლება იყოს საგანმანათლებლო, კულტურული ან სპორტული თემატიკის.

კოლეჯის სტუდენტური ინიციატივები/პროექტები შეიძლება წარდგენილ იქნას კალენდარული წლის განმავლობაში ნებისმიერ დროს, მაგრამ, შესაბამისი ინიციატივის/პროექტის სავარაუდო განხორციელების თარიღამდე ორი თვით ადრე კოლეჯის დირექტორის სახელზე. ინიციატორი/პროექტის ავტორი/ავტირთა ჯგუფი ვალდებულია მოთხოვნის შემთხვევაში წარმოადგინოს დამატებითი/დაზუსტებული პროექტი ან/და სხვა საჭირო მასალა და პროექტის პრეზენტაცია.

კოლეჯის მიზნებისა და ფუნქციების შესაბამისი საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული თუ საზოგადოებრივი საქმიანობის ხელშემწყობი ინიციატივებისა და პროექტების განსახორციელებლად აუცილებელი ფინანსური და მატერიალური რესურსების ხარჯვაზე/გამოყენებაზე გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის ადმინისტრაციის მხრიდან ხდება სტუდენტთა ინიციატივების მხარდაჭერა, რომლის დამადასტურებელი ინფორმაცია/მასალა წარმოდგენილი აქვთ ვებ-გვერდზეც და დადასტურდა პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებითაც. მაგალითად, 2022 წლის 27 მაისს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების მიერ კოლეჯში ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ღონისძიების დასასრულს აქტიურობისთვის მათ გადაეცათ სიგელები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს გამოკითხვის (სტუდენტის/მსმენელის კურსდამთავრებულის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, პროგრამის განმახორციელებლის, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, დამსაქმებლის) ფორმებს. ახორციელებს პროფესიული სტუდენტების პერიოდულ გამოკითხვას სასწავლო პროცესის, სტუდენტური სერვისებისა და შესაბამისი ინიციატივების მხარდაჭერის, ბიბლიოთეკაში არსებული გარემოს და რესურსების და სხვა გამოკვლევების მიზნით. საჭიროების შემთხვევაში ახდენს სტუდენტების/მსმენელების ინტერვიურებას. პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევის მიზანია სწავლის პერიოდში კოლეჯის მიერ შეთავაზებული რესურსებითა და სერვისებით მათი კმაყოფილების შესწავლა. კვლევის მიზნის მისაღწევად გამოიყენება კვლევის რაოდენობრივი მეთოდი. რაოდენობრივი კვლევისათვის მონაცემების მოპოვების გზად შერჩეულია პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ონლაინ გამოკითხვა "Google Forms" პლატფორმის გამოყენებით, რომლის ფარგლებში თითოეულ რესპონდენტს ელექ ტრონულ ფოსტაზე ეგზავნება სპეციალურად შემუშავებული კითხვარის ბმული. გამოკითხვა ანონიმურია და თითოეული რესპონდენტი ინფორმირებულია კონფიდენციალურობის შესახებ. პროფესიული სტუდენტის/კურსდამთავრებულის გამოკითხვაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია. რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულია სტრუქტურირებული ანკეტები, რომლებიც შედგება რამდენიმე თემატური ბლოკისგან. კითხვარები მოიცავს როგორც ე.წ. „დახურულ კითხვებს", სადაც წინასწარ მოცემულია სავარაუდო პასუხები, ასევე „ღია კითხვები", სადაც რესპონდენტს შესაძლებლობა აქვს ჩამოაყალიბოს თავისი მოსაზრებები საკითხთან დაკავშირებით.

პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა კვლევას ახორციელებს და ჩატარებული კვლევის შედეგებს ამუშავებს კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელების და კოლეჯის პერსონალის მხარდაჭერით. ხოლო გამოკითხვის შდეგების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროფესიული სტუდენტების მომსახურების გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტებმა ინტერვიურება განვახორციელეთ კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან და გადავამოწმეთ ჩატარებული კვლევის დოკუმენტაცია, რომელიც ითვალისწინებდა პროფესიულ სტუდენტთა დამოკიდებულებას კოლეჯსა და სწავლა-სწავლების პროცესების მიმართ. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 35 პროფესიულმა სტუდენტმა. ისინი ძირითადად კმაყოფილები არიან როგორც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესით ისე კოლეჯის ინფრასტრუქტურით. მხოლოდ ერთ პროფესიულ სტუდენტს ჰქონდა დაფიქსირებული და ინტერვიურების დროსაც აღნიშნა , რომ უჭირდა ინგლისური ენის სწავლა და სურვილი ჰქონდა, რომ არჩევანის გაკეთება ყოფილიყო შესაძლებელი და ესწავლა რუსული ენა. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგად დადგინდა, რომ მათ ნამდვილად მიიღეს ონლაინ კვლევაში მონაწილეობა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი“ (დამტკიცებულია დირექტორის 2022 წლის 6 ივლისის N 01/29 ბრძანებით);
- კოლეჯის შინაგანაწესი (დამტკიცებულია დირექტორის 2021 წლის 5 ოქტომბრის N 01/60 ბრძანებით);
- კოლეჯის „პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები“;
- პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და პირადი საქმეები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მექანიზმები, შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა (წესი) (დამტკიცებულია დირექტორის 2021 წლის 27 დეკემბრის N 01/82 ბრძანებით);
- პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის ფორმები (კითხვარები);
- ანგარიშები გამოკითხვის შედეგებზე რეაგირების და განხორციელებული აქტივობების შესახებ;
- კოლეჯის ვებ-გვერდი;
- კოლეჯის პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება.

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის.

კოლეჯის სტუდენტთა/მსმენელთა მომსახურების, უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების ცენტრი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა პიროვნული, პროფესიული და კარიერული განვითარების მხარდაჭერას, რომელიც ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და პოტენციური სტუდენტებისთვის. ამ მიზნით კოლეჯი გეგმავს და ატარებს სხვადასხვა ტიპის შეხვედრებს, ისეთი როგორიცაა: კულტურული, ახალგაზრდული, სპორტული, შემეცნებითი და სხვა აქტივობები.
კოლეჯის სტუდენტთა/მსმენელთა მომსახურების, უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების ცენტრის მიერ დაიგეგმა ფორუმი პროფესიულ სტუდენტთა დასაქმებასთან და მათი კარიერის დაგეგმვასთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების და მათი მისწრაფებების გათვალისწინებით მოძიებულ იქნა დაწესებულებები სადაც შესაძლებელი იქნება სასწავლო პრაქტიკის გავლა და წარმატებული სტუდენტების შემდგომი დასაქმება. პროფესიული სტუდენტები კონსულტაციისათვის დასაქმებასთან, ვაკანსიების მოძიებასთან, CV-ის შედგენასთან დაკავშირებით საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ სტუდენტთა/მსმენელთა მომსახურების, უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების ცენტრს, რომელიც აქტიურად ეხმარება სტუდენტებს.
ინტერვიურების პროცესში სტუდენტთა/მსმენელთა მომსახურების, უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების ცენტრის უფროსმა განმარტა საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები, ისაუბრა პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული ღონისძიებების თავისებურებებზე, მის მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ აქტივობებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულმა სტუდენტებმა გასაუბრების დროს დაადასტურეს კოლეჯის მიერ ორგანიზნულ აქტივობებში მონაწილეობა, ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის მიღება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

კოლეჯის დებულებიდან გამომდინარე ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულია სტუდენტთა/მსმენელთა მომსახურების, უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების ცენტრი, რომლის ფუნქცია-მოვალეობებში შედის პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდება, რომელიც ხდება როგორც ინდივიდუალურად სატელეფონო კავშირით, ისე თავსდება ვებ-გვერდზე, სოციალურ ქსელში/ჯგუფებში. დაწესებულება აპირებს კურსდამთავრებულების მონაცემთა ბაზის შექმნას, რათა თვალყური მიადევნონ მათ პროფესიულ განვითარებას.

აღნიშნულ ინფორმაცია დაადასტურეს პროფესიულმა სტუდენტებმა ინტერვიურებისას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით.

კოლეჯი სასწავლო წლის ბოლოს ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების დასაქმებასთან დაკავშირებით და მიღებული შედეგების საფუძველზე ახდენს რეაგირებას. კოლეჯს ვიზიტის პერიოდში არ ჰყავდა კურსდამთავრებულები.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სტუდენტების მონაწილეობით მართავენ შეხვედრებს დასაქმებასთან დაკავშირებით, სოციალური ქსელების ჯგუფებსა და ვებგვერდზე ათავსებენ ვაკანსიებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

დაწესებულების მიერ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით პერიოდულად ხორციელდება კარიერული მომსახურების კვლევა. ტარდება სტუდენტების, დამსაქმებლების, თანამშრომლების გამოკითხვები, რის საფუძველზეც დაწესებულება ეცნობა ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, პროფესიული განათლების მასწავლებლების, სტუდენტების მოსაზრებებს განხორციელებულ საქმიანობასთან დაკავშირებით. კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე რეგულარულად ხორციელდება მონაცემების მოძიება, დამსაქმებელთა ბაზის სრულყოფისა და სტუდენტებისათვის დასაქმების თაობაზე განახლებული მონაცემების მიწოდება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მექანიზმები, შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა (წესი) (დამტკიცებულია დირექტორის 2021 წლის 27 დეკემბრის N 01/82 ბრძანებით);
- შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ დებულება (დამტკიცებულია დირექტორის 2021 წლის 18 მარტის N 01/15 ბრძანებით; ცვლილება განხორციელდა 2022 წლის 3 ნოემბრის N 1/60 ბრძანებით);
- პროფესიულ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი და შედეგები;
- პროფესიული ორიენტაციისა და დასაქმებასთან დაკავშირებით განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი მასალები;
- კოლეჯის ვებ-გვერდი;
- სტუდენტთა/მსმენელთა მომსახურების, უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების ცენტრის უფროსთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრება.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას.

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.

კოლეჯს მიზნებისა და ფუნქციების შესრულების უზრუნველსაყოფად, შემუშავებული აქვს ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც წარმოდგენილია როგორც სტრუქტურული ერთეულებით/სამსახურებით ისე პოზიციებით. სტრუქტურით განსაზღვრულია მათი იერარქია და ფუნქციური კავშირი. სტრუქტურით განსაზღვრული პოზიციები/პერსონალი ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, დაწესებულების წესდებით, დებულებით და სტრატეგიული დოკუმენტებით დასახული მიზნების მისაღწევად. დებულების მიხედვით კოლეჯი შედგება მართვის ორგანოებისგან და ადმინისტრაციისგან. მართვის ორგანოებია: პარტნიორთა კრება (დამფუძნებლები), დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. სტრუქტურული ერთეულებია: ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, საქმისწარმოების სამსახური, უსაფრთხოების სამსახური, ფინანსური სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, სტუდენტთა/მსმენელთა მომსახურების, უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების ცენტრი, საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახური, იურიდიული სამსახური და ბიბლიოთეკა.

კოლეჯს ჰყავს შტატგარეშე მომსახურე თანამშრომლები: დაცვა-უსაფრთხოება, ექიმი/ექთანი, დამლაგებელი.

კოლეჯის დებულებაში თითოეული სამსახურისთვის/პოზიციისთვის გაწერილია ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

ექსპერტთა ვიზიტის დროს კოლეჯის დებულებაში დაფიქსირდა ტექნიკური უზუსტობები, კერძოდ, უსაფრთხოების სამსახურის სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობებში აღმოჩნდა დამლაგებლის და ექიმის/ექთანის პოზიციები. აღნიშნული გამოსწორდა ვიზიტის პერიოდშივე. ექსპერტთა მიერ განხორციელდა შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლა და გასაუბრება კოლეჯი ს წარმომადგენლებთაან. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ თავიანთი ფუნქციები და მოვალეობები.

განმავითარებელი რეკომენდაცია:

- ***განხორციელდეს კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა და ტექნიკური უზუსტობების გასწორება.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

დებულება დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 18 მარტის N 01/15 ბრძანებით (ცვლილება განხორციელდა 2022 წლის 3 ნოემბრის N 01/60 ბრძანებით), რომლითაც განსაზღვრულია: კოლეჯის იურიდიული სტატუსი, საქმიანობის სფერო, კოლეჯის მიზნები და ამოცანები, უფლებამოსილება, ვალდებულებები, საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები, სტრუქტურული ერთეულების და მასში შემავალი პოზიციების ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნცციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია. დაწესებულებაში მიმდინარე ყველა პროცესს ჰყავს პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/პოზიცია, რაც ასახულია სტრუქტურული ერთეულის/პოზიციის ფუნქციებში. დაწესებულების სტრატეგიული/სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ამოცანებს /აქტივობებს ჰყავს შესაბამისი პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/პირი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და სტრუქტურულად მის დაქვემდებარებაში მყოფი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი. მათი ფუნქცია მოვალეობები განსაზღვრულია კოლეჯის დებულებით. ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად და არ არის გადაკვეთა და ინტერესთა კონფლიქტი სტრუქტურული ერთეულების/პირების საქმიანობასთან.

ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის აღმწერი რეგულაციები, სამოქმედო გეგმა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან გასაუბრებით მივიღეთ ინფორმაცია გეგმით განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის წესდება;
- კოლეჯის შინაგანაწესი (დამტკიცებულია დირექტორის 2021 წლის 5 ოქტომბრის N 01/60 ბრძანებით);
- დაწესებულების სტრუქტურა;
- კოლეჯის დებულება (დამტკიცებულია დირექტორის 2021 წლის 18 მარტის N 01/15 ბრძანებით; ცვლილება განხორციელდა 2022 წლის 3 ნოემბრის N 01/60 ბრძანებით);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- პერსონალის დანიშვნის აქტი/ შრომითი ხელშეკრულებები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მექანიზმები, შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა (წესი) (დამტკიცებულია დირექტორის 2021 წლის 23 აგვისტოს N 01/45 ბრძნებით; ცვლილება განხორციელდა 2021 წლის 27 დეკემბრის N 01/82 ბრძანებით);
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამოქმედო გეგმა;
- კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრება.

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას.

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ- ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად. დაწესებულებაში პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის, დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის შესაბამისად. შინაგანაწესით რეგულირდება: შრომითი ურთიერთობა, შრომითი ხელშეკრულების დადება, სამსახურში მიღების წესი და წარმოსადგენი დოკუმენტაცია, სამუშაო, შესვენების და დასვენების დრო, დასვენების და უქმე დღეებში მუშაობის გამონაკლისი შემთხვევები, ზეგანაკვეთური სამუშაო, დასაქმებულის მიერ სამუშაო გაცდენილი დროის საპატიოდ ან არასაპატიოდ ჩათვლა, სამსახურში გამოუცხადებლობა, შრომითი უეთიერთობის შეჩერება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და შეწყვეტა, შვებულება, მივლინება, შეთავსებით მუშაობის უფლება, დასაქმებულის წესრიგისა და ეთიკის ნორმების დაცვა, დასაქმებულის და დამსაქმებლის უფლება-მოვალეობები, პასუხისმგებლობა, წახალისება, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა და შრომის ანაზღაურება. პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები შესაბამისობაშია კოლეჯის შინაგანაწესთან და არ ეწინააღმდეგება საქართველოს შრომის კოდექსს და კოლეჯის სხვა მარეგულირებელ დოკუმენტაციას.

პერსონალის მართვის აღნიშნული მარეგულირებელი დოკუმენტები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის, იგი განთავსებულია კოლეჯის ვებ-გვერდზე. დაწესებულება უზრუნველყოფს შინაგანაწესის და მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილების გაცნობას კოლეჯის ყველა თანამშრომლისათვის (ადმინისტრაციული პერსონალი და პროფესიული განათლების მასწავლებლები/პროგრამის განმახორციელებლები) ელექტრონულ ფოსტაზე გადაგზავნით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

1. პსდ- ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.

კოლეჯის „შინაგანაწესი“ (თავი 5.) ითვალისწინებს სამსახურში მიღების წესს და წარმოსადგენ დოკუმენტაციას. პერსონალის შერჩევის მიზნით კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ან/და დასაქმების შესაბამის ვებ-გვერდზე/ვებ-გვერდებზე ქვეყნდება შესაბამისი ვაკანსიის შესახებ, სადაც მითითებულია ვაკანსიის დასახელება, შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, წარმოსადგენი დოკუმენტაცია, ვადები და სხვა პირობები; პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებლის სამსახურში მიღება ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებლის შერჩევის წესის შესაბამისად. აღნიშნული პროცედურის შემდეგ წარმოდგენილი საბუთების განხილვის შედეგად შერჩეული კანდიდატები გასაუბრებას გადიან დირექტორთან და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენელთან. გასაუბრების შედეგად კონკრეტულ პოზიციაზე შერჩეული კანდიდატი ეცნობა კოლეჯის შინაგანაწესსა და ეთიკის კოდექსს (რომელიც ეგზავნება ელ.ფოსტაზე). წერს განცხადებას კოლეჯის დირექტორის სახელზე, სამსახურში აყვანის თაობაზე, რის შემდეგაც დირექტორი გამოსცემს ბრძანებას აღნიშნული პირის ვაკანტურ პოზიციაზე დანიშვნის შესახებ და მასთან ფორმდება შრომითი ან მომსახურების ხელშეკრულება.

პერსონალთან გასაუბრებით და პირადი საქმეებით დასტურდება, რომ ადამიანური რესურსის მართვასთან დაკავშირებული საკითხები წარმოეს შინაგანაწესის თანახმად და პერსონალი იცნობს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით დადგენილ მოთხოვნებს. თანამშრომელთა პირადი საქმეების შიგთავსი განსაზღვრულია დოკუმენტების ჩამონათვალით და რეალურადაც მოიცავს ამ პროცესის შესაბამისად დადგენილ ინფორმაციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა ყველა პირადი საქმე (ადმინისტრაციული პერსონალის, საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლები). ყველა მათგანი დაკომპლექტებულია სრულყოფილად, დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად. ყველა პირად საქმეში განთავსებულია სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ ცნობები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

დაწესებულებას ჰყავს როგორც საშტატო ერთეულით განსაზღვრული ისე შტატგარეშე პერსონალი. კოლეჯს შემუშავებული აქვს დებულება, რომლითაც განსაზღვრულია პერსონალის სამუშაო აღწერილობები და განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც შეესაბამება შესასრულებელ სამუშაოს.

ავტორიზაციის ექსპერტების მიერ გადამოწმდა დაწესებულების პერსონალის პირადი საქმეები, რომელიც მოიცავს პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტაციას და შესაბამისობაშია კოლეჯის მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.**

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კოლეჯს შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს: ადამიანური რესურსების მართვის (HR) სისტემის შექმნას, პერსონალის შერჩევას, პერსონალის საქმიანობის შეფასებას, პერსონალის განვითარების სისტემას და პერსონალის კმაყოფილების კვლევას. ადმინისტრაციული პერსონალი და პროფესიული განათლების მასწავლებლები პერიოდული შეკრებების, მოსაზრებათა ურთიერთგაცვლის, მსჯელობისა და გუნდური თანამშრომლობის რეჟიმში მონაწილეობენ ისეთ მნიშვნელოვან პროცესებში, როგორიცაა ახალი საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირება, პროგრამის განახლება, სასწავლო რესურსების შემუშავება, პროფესიული განვითარების მიზნით სასწავლო ვიზიტების დაგეგმვა, თანამშრომელთა მოტივაციის და წახალისების სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზება და ა.შ.

ავტორიზაციის ექსპერტები აღნიშნულთან დაკავშირებით გავესაუბრეთ ადმინისტრაციულ პერსონალს და პროფესიული განათლების მასწავლებლებს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ დაწესებულებაში დამკვიდრებული პრაქტიკაა გუნდური თანამშრომლობა. ისაუბრეს თუ როგორ არიან ჩართულები არა მხოლოდ საგანმანათლებლო საქმიანობაში, არამედ სხვადასხვა სახის განმავითარებელი ღონისძიებების დაგეგმვაში და წარმოგვიდგინეს აღნიშნულის დამადასტურებელი სამუშაო ჯგუფის ოქმები, ხელმოწერილი შეხვედრაზე დასწრების ფურცლები, ონლაინ შეხვედრების ჩანაწერები და ფოტოები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის შინაგანაწესი;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემები;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 12 ოქტომბრის N 01/ 64 ბრძანებით);
- პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის განხორციელებული აქტივობების ამსახველი დოკუმენტები/მასალა;
- განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის სტატისტიკა;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე.

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს კითხვარები, რომლის შესაბამისად ხორციელდება პერსონალის საქმიანობის შეფასება და **პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევა. პერსონალის საქმიანობის შეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ.** პერსონალის შეფასების სისტემით ფასდება დასაქმებული, რომელიც მინიმუმ სამი თვე ახორციელებს სამსახურეობრივ მოვალეობებს. შეფასება მიმდინარეობს მაქსიმუმ ორი კვირის მანძილზე. ადმინისტრაციული პერსონალი ფასდება თანამშრომლების 360 გრადუსიანი შფასების სისტემით, პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლების ნებაყოფლობითი ჩართულობით. პროფესიული განათლების მასწავლებლების საქმიანობის შეფასება ხორციელდება პროფესიული სტუდენტების მიერ. შეფასების კითხვარი მტკიცდება ყოველი შეფასების დაწყებამდე. კითხვარის შემუშავების პროცედურაში მონაწილეობენ კოლეჯის სტრუქტურული ერთეულები. პერსონალის შეფასების შემდეგ ჯამდება მისი ძლიერი და სუსტი მხარეები და დგება პერსონალის განვითარების გეგმა. პერსონალის განვითარება ხორციელდება სხვადასხვა განმავითარებელი ღონისძიებების საშუალებით, როგორიცაა: ტრენინგი, სასწავლო კურსი და სხვა. დაწესბულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ აღნიშნული კვლევების შედეგად მათ ჩაუტარდათ ტრენინგ-კურსები. ექსპერტების მხრიდან კი გადამოწმდა აღნიშნული ღონისძიებების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით.

დაწესებულებაში პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით. კერძოდ, გაწერილი არის სამოქმედო გეგმაში შესაბამისი აქტივობების სახით. ითვალისწინებს გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების მიზნით პერსონალის განვითარებისთვის დაგეგმილ აქტივობებს, პერიოდს და პასუხისმგებელ პირებს. კვლევის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, ასევე გაწერილია 2022 წლის განმავლობაში ეტაპობრივად ჩასატარებელი ტრენინგების გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით და ექსპერტთა ვიზიტის დროს გადამოწმებული 2020-2021წლებში ჩატარებული ტრენინგ-კურსების ანგარიშებით დასტურდება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და სამოქმედო გეგმა, რომლის შესაბამისად უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიულ განვითარებას და კარიერულ წინსვლას. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებლების პერიოდული შეფასების მექანიზმებს, ამზადებს სათანადო დოკუმენტაციას და უზრუნველყოფს შეფასების პროცესის მონიტორინგს. დაწესებულების მიერ შემუშავებულია კითხვარები, რომლის შესაბამისად ხორციელდება მასწავლებლის პროფესიული საჭიროებების კვლევა. შეფასების მიზანია პერსონალის საქმიანობის სისტემატური მონიტორინგის გზით მათი სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენა, პროფესიული განვითარების საჭიროებათა იდენტიფიცირება, კარიერული განვითარების დაგეგმვა, შრომითი მოტივაციის ამაღლება და დაკისრებული მოვალეობების შესრულების ხარისხის გაუმჯობესება. საქმიანობის შეფასების შედეგების საფუძველზე კი იგეგმება პროფესიული განვითარების მიზნით ღონისძიებები.

კერძოდ, სწავლება/შეფასებისა და დარგობრივი კომპეტენციების მიმართულებით მათ უტარდებათ შეხვედრები, ტრენინგები. ასევე, პროფესიული განათლების მასწავლებლები დარგობრივი კომპეტენციის განვითარების მიზნით ჩართულები არიან სხვადასხვა პროექტებში.

ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელდა კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სწავლება/შეფასებისა და დარგობრივი კომპეტენციების მიმართულებით მათ უტარდებათ შეხვედრები, ტრენინგები. ასევე, პროფესიული განათლების მასწავლებლები დარგობრივი კომპეტენციის განვითარების მიზნით ჩართულები არიან სხვადასხვა პროექტებში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

კოლეჯს შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციას. კერძოდ, ახალი თანამშრომლის ადაპტირების პროცესს ორგანიზებას უწევს კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენელი. აღნიშნული თანამშრომლის პირველივე სამუშაო დღეს ის გეგმავს და უზრუნველყოფს გაცნობით შეხვედრას კოლეჯის პერსონალის ყველა წარმომადგენლის მონაწილეობით. შეხვედრას ხსნის კოლეჯის დირექტორი, რომელიც ახალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანამშრომლის მიერ საკუთარი თავის წარდგენის შემდეგ, ახორციელებს პრეზენტაციას კოლეჯის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპების შესახებ. შეხვედრა გრძელდება კოლეჯის თანამშრომლების მიერ გუნდის ახალი წევრისათვის საკუთარი თავის გაცნობითა და გამოცდილების გაზიარებით, კოლეჯის საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებითა (კითხვა-პასუხის რეჟიმში) და ინფრასტრუქტურის გაცნობით.

ექსპერტთა მიერ განხორციელდა გასაუბრება კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენელთან, რომელმაც ისაუბრა ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის შესახებ, რაც შესაბამისობაშია დაწესებულების მარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილ პროცედურებთან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კოლეჯი ზრუნავს პერსონალის განვითარების წამახალისებელი აქტივობებისა და ღონისძიებების უზრუნველყოფაზე. დაწესებულების შინაგანაწესის შესაბამისად წახალისების ფორმებია: მადლობის გამოცხადება (ოფიციალური დოკუმენტის სახით და პირად საქმეში შეტანით; პრემია; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; სამსახურებრივი დაწინაურება. წახალისების ზომების შესახებ შესაბამის გადაწყვეტილებას ბრძანების სახით იღებს კოლეჯის დირექტორი.

ექსპერტების მიერ განხორციელდა გასაუბრება დაწესებულების პერსონალთან და შესაბამისად გადამოწმდა დოკუმენტაცია, კერძოდ, კოლეჯის დირექტორის ბრძანება (01/83, 2021წლის 29 დეკემბერი) პერსონალის წახალისების შესახებ, რომლის თანახმად - ქართული ენა A2 და ქართული ენა B1-ის განმახორციელებელს, სტუდენტთა/მსმენელთა მომსახურების, უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების ცენტრის უფროსს პროფესიულ სტუდენტებთან აქტიური მუშაობისათვის წახალისების სახით გადაეცა ორ კაციანი 3 დღიანი საგზური ბორჯომი-ლიკანი რესორტში; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საექთნო საქმის მოდულების განმახორციელებელს, როგორც დამწყებ მასწავლებელს წახალისების სახით ერთჯერადად გადაეცა პრემიის სახით დანამატი ხელფასზე ხელფასის 20%; პროფესიული განათლების ორ მასწავლებელს ერთჯერადად გადაეცათ 350-350 ლარი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების შინაგანაწესი;
- პერსონალის შეფასების და საჭიროებათა კვლევის კითხვარი;
- შევსებული კითხვარები და გამოკითხვის შედეგები;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პერსონალის პირადი საქმეები;
- კოლეჯის ვებ-გვერდი;
- სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი მასალა;
- პერსონალთან გასაუბრება;

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

6. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამის ი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით; დაწესებულებას 2019 წლის 23 ივლისს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით შ.პ.ს. ,,ემ.ბი.ემ'' სგან იჯარით გადმოცემული აქვს ქ.მარნეულში 26 მაისის ქ.N 80 ში მდებარე ფართი 380 კვ.მ ფართი 10 წლის ვადით.
დაწესებულებას მიერ წარმოდგენილი იქნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებისთვის განკუთვნილი სივრცეების შესახებ შევსებული სპეციალური ფორმა,
რომლის შესწავლის საფუძველზე და ვიზიტის ფარგლებში ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის სისწორე. სივრცეებს მინიჭებული აქვთ შემდეგი ფუნქციური
მნიშვნელობა:
- ფოიე;
- A გარემოები თეორიული სწავლებისთვის;
- კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი B გარემოები;
- პროფესიული პროგრამების განხორციელებისთვის მინიმალური აღჭურვილობით დაკომპლექტებული C გარემოები;
- სივრცე ადმინისტრაცისთვის;
- სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის;
- ბიბლიოთეკა;
- სამედიცინო კაბინეტი;
- სამუშაო და დასასვენებელი სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის,
- სველი წერტილები, მათ შორის შშმ პირებისათვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის ავტორიზაციის ვადით უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსით, რაც დასტურდება მატერიალური, სასწავლო რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით.სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია სწავლის პროცესისთვის საჭირო ყველა რესურსით, როგორიცაა პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის სამუშაო მაგიდები და სკამები, დაფა, ქსელში ჩართული კომპიუტერი, პროექტორი, სათავსოები. ასევე, თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსით. დაწესებულებაში მოწყობილია კომპიუტერული კლასები, რომლებიც უზრუნველყოფილია ქსელში ჩართული კომპიუტერებით და საჭირო პროგრამული უზრუნველყოფით. პროფესიულ სტუდენტებს/პროფესიული განათლების მასწავლებლებს შეუძლიათ შეუფერხებლად ისარგებლონ აღნიშნული სივრცით. ბიბლიოთეკა აღჭურვილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილი ყველა სასწავლო რესურსით, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. დაწესებულების ადმინისტრაციის ოთახები უზრუნველყოფილია კომპიუტერებით, სამუშაო ინვენტარით, სათავსოებით, ქსეროქსისა და პრინტერის აპარატებით. ასევე დაწესებულებაში ექსპერტების ვიზიტის დროს მოეწყო სამუშაო და დასასვენებელი სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისატვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის კერძოდ : დაწესებულებას დირექტორის 2021 წლის 16 მარტის ბრძანება N 01/14 ით დამტკიცებული აქვს მატერიალური რესურსების გამოყენების წესი, რომლის თანახმადაც კოლეჯის თანამშრომლები და პროფესიული სტუდენტები/მსმენელები უფლებამოსილნი არიან ლექციებს შორის შესვენების პერიოდში დასვენებისთვის ისარგებლონ კოლეჯში არსებული ფოიეთი და სხვა სივრცეებით.კოლეჯის თანამშრომლებსა და პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს შეუძლიათ ისარგებლონ კოლეჯის კომპიუტერული ტექნიკით, ბიბლიოთეკითა და ინტერნეტ რესურსებით სამუშაო საათებში. სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრებით დასტურდება , რომ მათ აქვთ ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული შენობაში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. კერძოდ: კოლეჯს ჰყავს **დამლაგებლები**, რომლებიც რეგულარულად ახორციელებენ საგანმანათლებლო სივრცის დასუფთავებას. ვიზიტის დროს როგორც საგანმანათლებლო სივრცეში, ისე სანიტარულ კვანძებში დაცული იყო სისუფთავე, განლაგებული იყო ხელსაბანი სითხე, საშრობი ქაღალდი და სხვა საჭირო რესურსები. დაწესებულებამ წარმოადგინა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისი მატერიალური რესურსების და მასალების შეძენის დოკუმენტაცია. ასევე, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შემოწმების აქტი. ინტერვიუს დროს სტუდენტებმა და თანამშრომლებმა დაადასტურეს, რომ კოლეჯში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, რაც დასტურდება ადგილზე ვიზუალური დათვალიერებითა და კომუნალური გადახდების ქვითრების გადამოწმებით; თუმცა აღსანიშნავია რომ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში გათბობა არ იყო ჩართული, თუმცა ქვითრების გადამოწმებით დასტურდება რომ წინა წლებში ცენტრალური გათბობა ფუნქციონირებდა.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები კერძოდ: დაწესებულებას დირექტორის 2021 წლის 17 მაისის N01/25 ბრძანებით, დამტკიცებული აქვს შ.პ.ს. მარნეულის სამედიცინო კოლეჯის უსაფრთხოების წესი, სადაც გაწერილია უსაფრთხოების წესები, რომლის შესრულებაზე პასუხისმგებელია კოლეჯის უსაფრთხოების სამსახური. დაწესებულებას ჰყავს შესაბამისი კომპეტენტური პირი / სერტიფიცირებული სპეციალისტი, რომელიც პასუხისმგებელია შესაბამისი ინსტრუქტაჟების ჩატარებაზე. შესაბამისი დოკუმენტაციითა და გასაუბრებით დასტურდება , რომ სპეციალისტი ატარებს ინსტრუქტაჟებს , თუმცა უსაფრთხოების წესში ამაზე ჩანაწერი არ არსებობს, **გაიცა რეკომენდაცია, რომ სასურველია დაწესებულებამ მოახდინოს შ.პ.ს.,, მარნეულის სამედიცინო კოლეჯის უსაფრთხოების წესის" გადახედვა და გაწეროს ყველა სამუშაო , რომელსაც ახორციელებს.**

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები: დაწესებებულების მიერ დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი , რომლი მუხლი 31. მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შენახვისა და გამოყენების მექანიზმებს. აღნიშნული მუხლი არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მასალა/ ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის, მისი შენახვის, გამოყენების და სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის და განკარგვის რეგულაციებს და ასევე ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის წესს., დოკუმენტში გაწერილია თითოეული აქტივობის შესაბამისი პროცედურები და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/განყოფილებები. მოდულის განმახორციელებელ პირს მოდულის დაწყებამდე გადაეცემა საჭირო მასალა, ნედლეული, ხოლო დასრულების შემდგომ მოდულის განმახორციელებელი პირისა და შესაბამისი პასუხისმგებელი პირის/ების მიერ ხორციელდება გახარჯული მასალებისა და ნედლეულის შესახებ ანგარიშგება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას, კერძოდ დაწესებულებას დირექტორის 2021 წლის 23 ავვისტოს N 01/45 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც ითვალისწინბს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებას და განვითარებას, რომელიც გულისხმობს ,რომ მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შიდა შემოწმებისას ხდება მისი შედარება საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებულ აუცილებელ რესურსებთან. შემოწმებას ექვემდებარება სასწავლო ფართი (აუდიტორიები, ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი და სხვ.) და შესაბამისი ინვენტარი, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, კომპიუტერული ტექნიკა (არსებობა, გამართული მუშაობა, ხელმისაწვდომობა სტუდენტებისთვის და პერსონალისთვის და სხვ.), საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ინტერნეტი და სხვ.), ვებ-გვერდი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის, რომლებშიც უზრუნველყოფილია მუდმივი წყლით მომარაგება, უწყვეტი განათება, ვენტილაცია, პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობა და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. თითოეულ სველ წერტილში განთავსებულია ჰიგიენის საშუალებები, ქაღალდის პირსახოცის დისპანსერი, ასევე ნარჩენებისთვის უკონტაქტო კალათა. დაწესებულებაში შშმ პირებისთვის მოწყობილია სპეციალური სანიტარული კვანძი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა, დაწესებულების სასწავლო კორპუსში, სასწავლო აუდიტორიებს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზებს აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა; ყველა სასწავლო გარემოში, ბიბლიოთეკაში, არის როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათება. დაწესებულებამ წარმოადგინა მოხმარებული ელექტროენერგიის გადახდის დოკუმენტაცია ამონაწერი ბანკიდან ყოველთვიური გადახდა ელექტროენერგიის საფასურისათვის ფართის მეპატრონესათვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას კოლეჯის შენობაში სასწავლო, სამუშაო სივრცეები ისეა გადანაწილებული, რომ ხელი არ შეეშალოს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.დაწესებულების ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, აღნიშნული რესურსის გამოყენება რეგულირდება დაწესებულებაში არსებული ბიბლიოთეკის სარგებლობის წესით. ბიბლიოთეკებში სამკითხველო დარბაზები მოწესრიგებულია, კომპიუტერული ტექნიკა. დასაქმებული ბიბლიოთეკის თნამშრომელი, პასუხისმგებელი არის ბიბლიოთეკაში არსებული როგორც მატერიალურ, ისე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობაზე. საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად ხორციელდება წიგნების აღრიცხვა, ტექნიკურად მოწესრიგება, ჟურნალში გატარება და კატალოგში დამატება. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. პროფესიულმა სტუდენტებმა და მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს დადებითად შეაფასეს ბიბლიოთეკის მომსახურება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზი;
- მოძრავი ქონების, მათ შორის სასწავლო რესურსის, ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ელექტროენერგიის, წყლისა და ბუნებრივი აირის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- დაწესებულების მატერიალური რესურსის გამოყენების რეგულაცია;
- სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების რეგულაცია;
- ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის რეგულაცია;
- შევსებული სპეციალური ფორმა, რომლითაც დასტურდება დაწესებულების სივრცეების/ფართების ფლობა
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- სამკითხველო დარბაზის, საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსები;
- პსდ-ს მიერ ჩატარებული პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის შედეგები;
- პროფესიულ სტუდენტებთან / პროფესიული პროგრამების განამხორციელებელ პირებთან ინტერვიუს შედეგები;

ვიზუალური დათვალიერებით

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება.

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებამ, წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 30.09.2019 წლის წერილი დასტურდება , რომ შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებს. ასევე დაწერებულებამ წარმოადგინა შ.პ.ს.,,საინჟინრო ნაგებობათა პროექტების ექსპერტიზისა და კვლევის ცენტრი''ს დასკვნა შემობის მდგრადობის შესახებ, გაცემული 26.10.2020 წელს, რომლის მიხედვითაც შენობის მდგრადობა დასტურდება.დათვალიერებით ასევე დადასტურდა რომ, დაწესებულების შენობის მთელს პერიმეტრზე განლაგებულია ცეცხლმაქრები და ხარძარსაწინააღმდეგო ინვენტარი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები-** სადაც გაწერილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები დაწესებულებას ჰყავს პირველად გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელ პირი, მასთან აქვთ ხელშეკრულება გაფორმებული. აღნიშნული პერსონალის კომპეტენცია შესაბამისობაშია დაწესებულების მიერ გაწერილ სამუშაო აღწერილობებთან და საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. ისეთი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საჭიროებისას, რომლის კომპეტენცია არ აქვს ექთნებს, ოპერატიულად გამოძახებული იქნება სასწრაფო დახმარება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი-** დაწესებულებას ვიზიტის დროს არ ქონდა საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი, შეთანხმებული შესაბამის ორგანოსთან თუმცა არგუმენტირებული პასუხის დროს წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან 2022 წლის 1 დეკემბრის MIA 72203393217 წერილით. გეგმა არ საჭიროებს დამატებით შესწავლას ექსპერტების მხრიდან , და დასკვნაში ინდიკატორი შეფასდა როგორც ,,შეესაბამება''.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას :** დაწესებულებას ყავს თანამშრომელი, რომელსაც ფუნქციებში გაწერილი აქვს კოლეჯში წერსიგისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და უსაფრთხოების დაცვა, ასევე შენობას იცავს დაცვის სამსახური რომელსაც აქვს კამერების სისტემა და ვიდეოკამერების მოწოდებული გამოსახულების მონიტორინგს ახორციელებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის და ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებით დასტურდება, რომ დაწესებულება მის მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დამტკიცებულია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის მექანიზმები;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით პასუხისმგებელ პირებთნ გაფორმებული ხელშეკრულება;
- შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა (გარდა ადმინისტრაციული და სასწავლო კაბინეტებისა, სანიტარული კვანძებისა და
- დამხმარე სათავსოებისა) და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი
- უსაფრთხოების კამერები;
- ინტერვიურების შედეგი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო საწესებულების, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 30.09.2019 წლის წერილით;
- შ.პ.ს.,,საინჟინრო ნაგებობათა პროექტების ექსპერტიზისა და კვლევის ცენტრი''ს დასკვნა შემობის მდგრადობის შესახებ,;

ვიზუალური დათვალიერება
შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო კორპუსში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს,** რადგან აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერების დაწესებულების სასწავლო კორპუსში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა უზრუნველყოფს დაწესებულებაში ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას.

დაწესებულებაში ხელმისაწვდომია როგორც უკაბელო, ასევე კაბელიანი ინტერნეტი, რაც დასტურდება ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულებით და ვიზიტის დროს ადგილზე გადამოწმებით. ასევე, წარმოდგენილია გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტიც.ვიზიტის დროს ექსპერტებს ქონდათ საშიუალება IT-სპეციალისტებთან გასაუბრების რომლითაც ასევე დასტურდება საინფორმაციოტექნოლოგებით მათ შორის ინტერნეტთ უზრუნველყოფა

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **დაწესებულება ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას. კერძოდ:** კოლეჯის IT სპეციალისტებთან გასაუბრებით და არსებული დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება რომ: დაწესებულება ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას, ამისათვის დაწესებულებაში შექმნილია კომპიუტერული ქსელი, ხდება მისი მართვა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სისტემატიური განახლება, მისი უსაფრთხოების დაცვა, ახალი მომხმარებლების ჩართვისათვის საჭირო სამონტაჟო და პროგრამული სამუშაოების ჩატარება; ხორციელდება ოფიციალური ვებ–გვერდის მუდმივი განახლება, მასალების მომზადებაში მონაწილეობის მიღება და ვებ–გვერდზე განთავსება; კომპიუტერული ტექნიკისათვის პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია,სისტემური და პროგრამული დარღვევების აღმოფხვრა, ვირუსებისგან გაწმენდა, კომპიუტერული ტექნიკის მოდერნიზაცია და რემონტი; კომპიუტერული ლაბორატორიების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა; პრეზენტაციებისათვის,სხვადასხვა ღონისძიებებისათვის შესაბამისი აპარატურის მომზადება და გამართული ფუნქციონირება; ინტერნეტის მიწოდების უზრუნველყოფა და საჭიროების შეზღუდვა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **დაწესებულებას დამტკიცებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი,** რომლის მიხედვით ირკვევა, რომ პრფესიული სტუდენტის/მასწავლებლის შესახებ პირადი ინფორმაციისგაცემა შეზღუდულია. პირადი ინფორმაცია შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სასწავლო, ან საავტორიზაციო მიზნებისთვის, რომელიც დასტურდება თანხმობის დოკუმენტზე ხელმოწერით. IT უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი ახდენს რისკების შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში საპრევენციო ღონისძიებების გატარებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **დაწესებულება აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას, კერძოდ :** ამისათვის დაწესებულებაში შექმნილია კომპიუტერული ქსელი, ხედება მისი მართვა და სისტემატიური განახლება, მისი უსაფრთხოების დაცვა, ახალი მომხმარებლების ჩართვისათვის საჭირო სამონტაჟო და პროგრამული სამუშაოების ჩატარება; ხორციელდება ოფიციალური ვებ–გვერდის მუდმივი განახლება, მასალების მომზადებაში მონაწილეობის მიღება და ვებ–გვერდზე განთავსება; კომპიუტერული ტექნიკისათვის პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, სისტემური და პროგრამული დარღვევების აღმოფხვრა, ვირუსებისგან გაწმენდა, კომპიუტერული ტექნიკის მოდერნიზაცია და რემონტი; კომპიუტერული ლაბორატორიების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება.** დაწესებულების მიერ გამოყოფილია კომპიუტერები ადმინისტრაციისათვის, მასწავლებლებისათვის და სტუდენტებისათვის, რაც დასტურდება ვიზუალური დათვალირებით და ინტერვიუირებით. ასევე, ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. **უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.** კერძოდ, დაწესებულებას შექმნილი აქვს ფეისბუქ ჯგუფები ყველა მიმდინარე ჯგუფისთვის და აწარმოებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული სტუდენტების ერთიან ინფორმირებას. ასევე აქვს მათი ელ ფოსტები, ინდივიდუალური საკითხების შესახებ ინფორმირება ხდება ელექტრონული ფოსტების მეშვეობით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 2021 წლის 20 სექტემბრის ბრძანება N01/55 დამტკიცებული პერსონალური მონაცემების დაცვის წესმექანიზმები;
- დაწესებულების ვებგვერდი და ფეისბუქგვერდი;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შესწავლის შედეგი (კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული
- უზრუნველყოფა, ინტერნეტი);
- ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- უკაბელო ინტერნეტის ადგილზე შემოწმების შედეგი;

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის N 59 ბრძანებით, აღნიშნული წესის მიხედვით, საქმისწარმოება აკმაყოფილებსსაქმის წარმოების ინდიკატორის მოთხოვნებს. საქმის წარმოების წესში დეტალურადაა გაწერილი სხვადასხვა პროცედურები. ავტორიზაციის ექსპერტებს ჰქონდათ საშუალება დაწესებულების საქმისწარმოების სამსახურის უფროსთან გასაუბრების, სადაც დეტალურად მოხდა პროცედურების განხილვა თუ რა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანმიმდევრობით, დროის რა დიაპაზონით და რა სიხშირით ხდება რეაგირება როგორც შიდა დოკუმენტზე ასევე შემოსულ კორესპოდენციაზე. გასაუბრების შედეგად დასტურდება რომ საქმისწარმოების პროცესი დაწესებულებაში მიმდინარეობს შესაბამისი წესის მიხედით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის დაწესებულებას ელექტრონული საქმისწამოების სისტემა არ ქონდა ვიზიტის დროს. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა რომ მათ ამ საკითხის მოგვარებისათვის აქვთ ხელშეკრულება კერძო კოლეჯების ასოციაციასთან, გაფორმებული 01.03.22 ში, თუმცა ვიზიტის დროისათვუს დანერგილი არ იყო სისტემა გასაუბრებით დაწესებულება ასახელებდა ტექნიკურ პრობლემებს მიმწოდებლის მხრიდან. მათ ასევე წარმოადგინეს ელექტრონული ფოსტის საშუალებით მოწერილი წერილი,სადაც მომწოდებლის მხრიდან მოწოდებულია ინფორმაცია, რომ უკვე გახსნილია მათ სახელზე მომხმარებლები, და დამატებითი შეხვედრები ჩაუტარდებათ 15 ნოემბრისათვის. არგუმენტირებული პასუხი დაწესებულებამ უკვე 16.12.22 MES წერილით წარმოადგინა საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის EFLOW ს საშუალებით. რაც ნიშნავს რომ ხარვეზი აღმოფხვრილია და დაწესებულება ჩართულია ელექტრონული საქმისწარმოების სისტემაში , შესაბამისად ინდიკატორი შეფასდა როგორც ,, შეესაბამება''.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. კოლეჯი ჩართულია პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში და ახორციელებს მასში ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა მისი შევსების სისრულე. ასევე მოხდა გასაუბრება რეესტრზე პასუხისმგებელ პირთად რომელიც ასევე არის კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის პოზიციაზე, ასებე ექსპერტებს ქონდათ საშუალება ენახათ რეესტრის მონაცემები, შედეგად დადასტურება, რომ დაწესებულება რეალურად ახდენს რეესტრის სწორად წარმოებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. დაწესებულება დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან, რაც დასტურდება მათ მიერ მიღებული მონიტორინგის დავალებებისა და გაგზავნილი პასუხების საფუძველზე. ძირითადად შემოსულ კორესპოდენციაზე პასუხისმგებლობა ენიჭება საქმისმწარმოებელს, რომელსაც მოეთხოვება გონივრულ ვადებში შემოსული დოკუმენტაციის მიწოდება შესაბამისი პირებისათვის. ექსპერტების მიერ გასაუბრება შედგა კომპეტენტურ პირთან, რითიც დასტურდება ყოველივე ზემოაღნიშნული.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების საქმისწარმოების წესი;
- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლეთან გასაუბრების შედეგები

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას.

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს. კერძოდ:** დაწესებულების ვებ-გვერდიhttps://www.mscollege.ge/ და სოციალური ქსელი (FACEBOOK) იძლევა მარტივი ნავიგაციისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მთავარ გვერდზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას; ვებგვერდი ასრულებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ორ ძირითად ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს: ა)საკომუნიკაციო პლატფორმა და ბ) საინფორმაციო ფუნქცია. ვებგვერდზე შესაძლებელია მარტივი ნავიგაცია, ამისთვის ინფორმაცია განთავსებულია ლოგიკურად დაჯგუფებულ და დასათაურებულ რუბრიკებში, არსებობს სიტყვების ძებნის ფუნქციაც. დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებულია: დაწესებულების სტრუქტურა; საგანამანთლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციადაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები; ვებ-გვერდზე განთავსებული დაწესებულების მისია, საქმიანობა,სტრუქტურა, დებულებები, შიდა ნორმატიული აქტები, ინფორმაცია პროგრამების შესახებ, მათ შორის სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, სამოქმედო და სტრატეგიული გეგმები, სამოქმედო გეგმების ანგარიშები და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;** დაწესებულებას მისიაში საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი არ აქვს შესაბამისად არ აქვს უცხოუენოვანი ვებგვერდი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. კერძოდ:** კოლეჯში დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი. დაწესებულება ინფორმაციის მისაწოდებლად მუდმივად იყენებს კოლეჯის ვებ-გვერდს mscollege.ge ოფიციალურ გვერდს სოციალურ ქსელებში (facebook (ფეისბუქი) - დაწესებულების გვერდზე და სოციალურ გვერდზე დაწესებულება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. დაწესებულებას ყავს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, რომელიც ვალდებულია კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობების წარმართვაზე, წესში დეტალურადაა გაწერილი ინფორმაციის გავრცელების ეტაპები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას დაწესებულების საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ**. იგი მოიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას: კოლეჯის შესახებ, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებისა და კრედიტების მინიჭების შესახებ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის, დასაქმების შესაძლებლობის, კრედიტების, სწავლის შედეგების და სხვა ყველა აუცილებელი ინფორმაციის შესახებ რაც წინასწარ უნდა იცოდეს აპლიკანტმა და/ან მისმა მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. **პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად,** რაც დადასტურდა დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული კატალოგის დათვალიერებით https://www.mscollege.ge/images/files/pdf/samedicino-koleji-katalogi.pdf

6. დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 20 სექტემბრის ბრძანებით N01/55 დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, რომლის მიხედვით საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს დაწესებულება იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, რაც დადასტურდა როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს, ასევე აღსანიშნავია რომ დაწესებულებაში ჯერ ისეთი უკუკავშირი არ ყოფილა, რომ ძირეული ცვლილებები გამოეწვია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 2021 წლის 20 სექტემბერი ბრძანებით N01/55 დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი;
- პროფესიული პროგრამების კატალოგი;
- ვებ-გვერდითა და ფეისბუქგვერდით;
- დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულება;
- ვებ-გვერდზე ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგის, დაწესებულების წლიური ანგარიშების, პროფესიული
- სტუდენტებისთვის, მათ შორის სსსმ პირებისთვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერის სერვისების, სასწავლო და დასაქმების შესაძლებლობები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია.

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება. კერძოდ: კოლეჯი შ.პ.ს. იურიდიული ფორმით არის რეგისტრირებული, შესაბამისად ძირითადი დაფინანსების წყარო დამფუძნებლების შენატანები. საბიუჯეტო პროცესი არის საჯარო და გულისხმობს დამტკიცებული ბიუჯეტის, მისი შესრულების ანგარიშის გამოქვეყნებას, ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების საჯაროობას. სამოქმედო გეგმის შესაბამისად დგება ყოველი წლის ბიუჯეტი. დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმაში ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ დაწესებულების ფინანსური რესურსით სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების უზრუნველყოფის დადასტურების მიზნით გაიცა **რეკომენდაცია, რომ სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში გაიწეროს ფინანსური ნაწილი, რათა ნათლად ჩანდეს ყველა ინდიკატორის ფინანსური უზრუნველყოფა.**

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით კოლეჯის საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას. კერძოდ:** დაწესებულება ყოველწლიურად ამზადებს ფინანსურ და სამოქმედო გეგმების შესრულების შესახებ ანგარიშებს. ასევე, ავტორიზაციის დებულების მოთხოვნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელმა ყველა ავტორიზებულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ დადგენილი წესით განათავსოს ყოველწლიური ფინანსური ანგარიში ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე. დაწესებულებას აღნიშნული ანგარიშები ატვირთული აქვს შესაბამის ვებგვერდზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. **დაწესებულების მიერ ვებგვერდზე განთავსებულია სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები და სამოქმედო გეგმები.** დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელთა განმარტებით ისინი ანალიზს უკეთებენ ყოველწლიურ ანგარიშებს, აფასებენ საკუთარ ფინანსურ შესაძლებლობებს და მდგრადობის ობიექტური შეფასების შედეგად გეგმავენ შემდეგი წლის აქტივობებს.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები;
- პორტალზე განთავსებული ფინანსური ანგარიშები;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგები;

კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცება დირექტორის 2019 წლის 5 სექტემბრის N 35 ბრძანება ცვლილებები: დირექტორის 2021 წლის 24 მარტის N01/18 ბრძანება; დირექტორის 2021 წლის 10 სექტემბრის N01/51 ბრძანება; დირექტორის 2021 წლის 4 ოქტომბრის N01/58 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქალაქი მარნეული, 26 მაისის ქ. № 80
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	100
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე,	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

XIII.პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება		შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება		შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება		შეესაბამება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.დაწესებულების მისიაა განახორციელოს საქართველოს სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო პროფილის საგანმანათლებლო პროგრამები და სხვადასხვა მიმართულების პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები, რითაც ხელს შეუწყობს ქვეყნისა და ქვემო ქართლის რეგიონში კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებასა და დასაქმებას. იზრუნოს პროფესიული განათლების პოპულარიზაციაზე და ხელი შეუწყოს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლას; მოამზადოს მაღალკვალიფიციური , ლიბერალური ღირებულებების საზოგადოების აქტიური წევრები, განუვითაროს მათ პროფესიული უნარები და უზრუნველყოს მათი კონკურენტუნარიანობაზე დასაქმების ბაზარზე; დაწესებულებას ასევე აქვს დოკუმენტი, პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთებაზე, რომელშიც მოყვანილია ინფორმაცია რეგიონში პროგრამის საჭიროებაზე, ასევე ბიზნეთან კომუნიკაციაზე, ექსპერტთა მიერ აღნიშნული დოკუმენტაციის განხილვისა და შესაბამის პირებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულების
მიერ წარმოდგენილი დასაბუთება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლების'' განხორციელებასთან
დაკავშირებით ეფუძნება შესაბამისი პროფესიის კადრებზე გაზრდილ მოთხოვნილებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე, რომლის ჩატარების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 6 ივლისის ბრძანება N01/29 დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი რომლის 30 მუხლში განსაზღვრულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

- A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა ან სასწავლო გარემოს ფართი ან პროგრამის განმახორციელებელ საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა;
- საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი;
- მოდულის განმახორციელებელი პირების რაოდენობა(მასწავლებლები);
- მატერიალური რესურსი.

კოლეჯში არსებული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით განისაზღვრა სტუდენტთა ზღვრული ოდენობა აღნიშნულ პროგრამაზე, რამაც შეადგინა 100 პროფესიულიპროფესიული სტუდენტი.

ვიზიტის პერიოდში კოლეჯში ირიცხებოდა 90 პროფესიული სტუდენტი: 2020 წელს მიღებული ჰყავთ 15 პროფესიული სტუდენტი - აქედან 3 -ს შეუწყდა პოფესიული სტუდენტის სტატუსი - ამჟამად აქტიურია 12 პროფესიული სტუდენტი;

2021 წელს მიღებული ჰყავთ 51 პროფესიული სტუდენტი აქედან 21 პროფესიულმა სტუდენტმა დაასრულა სწავლა ქართული ენის მოდულზე და ჩაირიცხა კოლეჯში.

2022 წელს მიღებული ჰყავთ 27 პროფესიული სტუდენტი აქედან 10 პროფესიულმა სტუდენტმა დაასრულა სწავლა ქართული ენის მოდულზე.პარტნიორ კლინიკებში სწავლებას უზრუნველყოფენ პრაქტიკის ინსტრუქტორები 1/7 თანაფარდობით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**

ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ მოხდა პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამით „საექთნო განათლების“ გათვალისწინებული რესურსის შესწავლა. საგნმანათლებლო პროგრამაში მითითებული მატერიალური და სასწავლო რესურსი შესაბამისია მოდულების სწავლის შედეგების და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. ასევე შემოწმებული იქნა პარტნიორი ორგანიზაციების სახელმწიფო ლიცენზიების სფერო, რომლითაც დასტურდება, რომ შერჩეული კლინიკები ფარავენ საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკური მოდულების სწავლის შედეგების შინაარსს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. **საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.**

„საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **არ მოიცავს არჩევით მოდულებს.**

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 1 ივლისი ბრძანება N01/35 ით დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების წესი, რომლის თანახმადაც პროგრამის დამტკიცებაზე პასუხისმგებელია კოლეჯის დირექტორი. პროგრამა დამტკიცებულია დირექტორის მიერ და შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლება დამტკიცებულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „საექთნო განათლება“, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის პროფესიული სპეციალიზაციის სახელწოდების იდენტურია და ამიტომ სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.ექსპერტთა შეფასებით „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, შემუშავების საფუძველია საექთნო განათლების ჩარჩო დოკუმენტი -სარეგისტრაციო ნომერი - 09109-პ. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა.დაწესებულების მიერ წარმოგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტები: მოდულები და სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მათი მოდულები ადაპტირებულია. საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს, როგორც თეორიულ და პრაქტიკულ, ასევე კლინიკური სწავლების კომპონენტსაც. სწავლის პროცესის ხანგრძლივობაა – 120 სასწავლო კვირა (იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებსაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია), ხოლო 151 სასწავლო კვირა (იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია). პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო გეგმაში დაცულია პროგრამის კომპონენტების წინაპირობები და გათვალისწინებულია შესაძლო სწავლის შედეგების აღდგენა-ჩაბარებისთვის გონივრული ვადა. პროფესიული სტუდენტების შესაძლო კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტთან;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- დირექტორის 2022 წლის 1 ივლისი ბრძანება N01/35 ით დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების წესი;
- დირექტორის 2022 წლის 6 ივლისის ბრძანება N01/29 დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებული მისია;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შპს ,,მარნეულის სამედიცინო კოლეჯი“ საგანმანათლებლო საქმიანობას „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ახორციელებს ქალაქ მარნეულში, 26 მაისის ქ. № 80 -ში მდებარე შენობა - ნაგებობაში, სადაც შესწავლილი დოკუმენტაციითა და ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი ორი A გარემო და თითოეული აუდიტორია გათვლილია 30 პროფესიულ სტუდენტზე. პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებულია ასევე სათანადოდ აღჭურვილი ორი B გარემო - კომპიუტერული კლასი - ლაბორატორია - ჯამში 21 პროფესიულ სტუდენტზე. AC გარემო 30 პროფესიულ სტუდენტზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის სპეციფიკის (პრაქტიკული ინდიკატორის მოდულების კლინიკებში განხორციელების) გათვალისწინებით, დაწესებულებაში არსებული ფართი და მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს, დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო განათლება“ მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.

დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო განათლება“ მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 100 პროფესიულ სტუდენტს.

თითოეულ წელს მიიღებს 30 პროფესიულ სტუდენტს, სასწავლო გეგმის მიხედვით პარალელური სწავლებისას, თეორიული სწავლება ერთდროულად უწევთ 2 წლის მიღების პროფესიულ სტუდენტებს, რაც ადასტურებს, რომ კოლეჯი შეუფერხებლად განახორციელებს 60 (30+30) პროფესიული სტუდენტის სწავლებას. სწავლების მეორე წლის მეორე ნახევრიდან პროგრამის განხორციელება გრძელდება პარტნიორ კლინიკებში. ამ ეტაპზე პარალელურად სწავლება უწევს ორი წლის მიღების პროფესიულ სტუდენტებს. პარტნიორ კლინიკებში სწავლებას უზრუნველყოფენ პრაქტიკის ინსტრუქტორები თანაფარდობით - 1/7.

ვიზიტის პერიოდში კოლეჯში ირიცხებოდა 90 პროფესიული სტუდენტი: 2020 წელს მიღებული ჰყავთ 15 პროფესიული სტუდენტი - აქედან 3 -ს შეუწყდა პოფესიული სტუდენტის სტატუსი - ამჟამად აქტიურია 12 პროფესიული სტუდენტი;

2021 წელს მიღებული ჰყავთ 51 პროფესიული სტუდენტი აქედან 21 პროფესიულმა სტუდენტმა დაასრულა სწავლა ქართული ენის მოდულზე და ჩაირიცხა კოლეჯში.

2022 წელს მიღებული ჰყავთ 27 პროფესიული სტუდენტი აქედან 10 პროფესიულმა სტუდენტმა დაასრულა სწავლა ქართული ენის მოდულზე.

„საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების მიზნით, გაფორმებულია ხელშეკრულებები შემდეგ ობიექტებთან: შპს ,,ჯეო-ჰოსპიტალსი“ (22.02.2022), შპს ,, ავერსის კლინიკა“ (23.08.2019) , შპს მარნეკორი“ (03.09.2019), შპს რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ (14.08.2019)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კლინიკები აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სადაც უკვე ხორციელდება კოლეჯის 2020 წელს ჩარიცხულ პროფესიული სტუდენტებისათვის კლინიკური და პრაქტიკული კომპონენტების სწავლება. აღნიშნულ კლინიკებთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავს ინფორმაციას, თუ რომელი მოდულის განხორციელებაში ჩაერთვება კლინიკა, რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობა აქვს იმ გაანგარიშებით, რომ 7(შვიდ) პროფესიულ სტუდენტზე უზრუნველყოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ერთი პროგრამის განმახორციელებელი/პრაქტიკის ინსტრუქტორი კლინიკური სწავლებისათვის და გამოყოს მოდულებით განსაზღვრული სახარჯი მასალები.
აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, როგორც დაწესებულების საგანმანათლებლო სივრცეები, ისე პრაქტიკული ინდიკატორის განმახორციელებელი კლინიკები თავის მფლობელობაში არსებული მატერიალური აღჭურვილობითა და რესურსით, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

„საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილი AC გარემოს აუდიტორია, რომელიც აღჭურვილია საჭირო რესურსით 27 პროფესიულ სტუდენტზე (მაგიდა, სკამი), ასევე განთავსებულია 1 კომპიუტერი, 1 დაფა, 1 პროექტორი. „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილი AC გარემოს აუდიტორია, გათვლილია პრაქტიკული სწავლების მოდულებისთვის („ავადმყოფის მოვლა“ და „შინმოვლა“) და სრულად არის აღჭურვილი მოდულებით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით (მულაჟი, სამედიცინო ინვენტარი),

დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, პრაქტიკული სწავლების მოდულები („ავადმყოფის მოვლა“ და „შინმოვლა“) ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზეც, რასთან დაკავშირებითაც კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „ჯეო-ჰოსპიტალთან“.

პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

კოლეჯის და კლინიკის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კლინიკები აღჭურვილია კლინიკური მოდულების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსით.

<u>სასურველია - პრაქტიკის განმახორციელებელ კლინიკებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს დანართის სახით ახლდეს პარტნიორი ორგანიზაციების მიერ პრაქტიკის ინდიკატორისთვის გამოყოფილი მატერიალური რესურსის ნუსხა.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის ფარგლებში მოხდა პრაქტიკის ობიექტის - შპს ,,ჯეო-ჰოსპიტალი“ -ის წარმომადგენელთან / ინსტრუქტორთან გასაუბრება რომლის მხრიდან გამოითქვა სრული მზაობა ითანამშრომლონ კოლეჯთან ხელშეკრულებაში გაწერილი პირობების შესაბამისად.

ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რითაც დასტურდება, რომ პრაქტიკის ობიექტებს კანონმდებლობით დადგენილი წესით გააჩნიათ სწავლების მოდულით გათვალისწინებული მიმართულებით საქმიანობის უფლება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალების მიხედვით, ირკვევა, რომ „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 35 პროფესიული განათლების მასწავლებელი მათ შორის ზოგადი მოდულები - 11 (2 - საინფორმაციო ტექნოლოგია, 2 - უცხო ენა, 5 - კომუნიკაცია, 2 - ქართული ენა), თეორიული სწავლებისათვის - 24 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ აღემატება პროფესიული მასწავლებლის კვირეული დატვირთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმას.

კლინიკური და პრაქტიკული სწავლებისათვის პრაქტიკული ინდიკატორის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა შეადგენს- 10-ს.

შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ვიზიტის დროს მოხდა „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეების შემოწმება (კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია), შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას. შედგა გასაუბრება „ავადმყოფის მოვლის“ , ,,ქართული ენის“, ,,ანატომია-ფიზიოლოგიის“ და ,,თერაპიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლების“ მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოდულების განმახორციელებელ პირებს ზოგადად აქვს სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია, სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. განმახორციელებელ პირებს გავლილი აქვთ როგორც კოლეჯის, ისე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწვალებელთა ნაწილი ჩართული იყო მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 27 ოქტომბრის №01/57 ბრძანებით დამტკიცებულია „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, კვალიფიკაცია - ექიმი. პროფესიული განათლების მასწავლებლად (2020 წლიდან-დღემდე) და დარგში მუშაობის გამოცდილებით. საექთნო საქმის დარგობრივი კომპეტენციების უნარების ფლობით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის დოკუმენტაცია აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, აქვს დარგში მუშაობის გამოცდილება.

პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას, ამ უკანასკნელმა აღნიშნა, რომ ზრუნავს პროგრამის განვითარებაზე, ჩართულია პროგრამის განხორციელების პროცესში, მეცადინეობებზე პერიოდულად ესწრება პროგრამის განმახორციელებლებს, ჩართულია შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

ვიზიტის ფარგლებში მოხდა საბიბლიოთეკო სივრცის დათვალიერება, ბიბლიოთეკართან გასაუბრება და „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსების გადამოწმება. გადამოწმების შედეგად დასტუდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით და დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

დაწესებულებას აქვს კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 6 ივლისის №01/29 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი/მუხლი 24 - ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული რეგულაციები, სადაც აღწერილია და დასტურდება სსსმ პირების ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ადაპტირებულ სასწავლო რესურსებთან წვდომის მექანიზმების არსებობა სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. ასევე საჭიროების შემთხვევაში სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტთა ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ასისტენტებით, ჟესტური ენის თარჯიმნებითა და სპეციალური ასისტენტებით უზრუნველყოფა. თუმცა ჩანაწერი რესურსების ადაპტირებასთან დაკავშირებით არ არის, **სასურველია დაწესებულებამ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწეროს სსსმ პირებისათვის შესაბამისი რესურსების ადაპტირების მეთოდოლოგია.**

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

წარმოდგენილ „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტში, აღწერილია შემოსავლები და ხარჯები. პროგრამის შემოსავალია ვაუჩერული დაფინანსება. კოლეჯის მიერ რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 11 პროფესიული სტუდენტით. პროგრამის ბიუჯეტში გაწერილია სხვადასხვა ხარჯები (პროგრამის განმახორციელებელი პირების, კომუნალური, სასწავლო მასალის ხარჯი და სხვა). ამდენად, აღნიშნული პროგრამის განხორციელების ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია.

<u>სასურველია დაწესებულების ადმინისტრაციამ გადახედოს ბიუჯეტის ხარჯებს და შეიტანოს ისეთი მნიშვნელოვანი მუხლი, როგორიცაა პროგრამის/განმახორციელბელი პირების განვითარებისთვის გასაწევი ხარჯები.</u>

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრული პაკეტით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეებით;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- პროგრამის პრაქტიკული ინდიკატორის განმახორციელებელ კლინიკებთან დადებული ხელშეკრულებებით;
- კოლეჯის წარმომადგენლებთან ჩატარებული გასაუბრებით.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“ რაც უზრუნველყოფს საქმიანობის დაგეგმვის, მართვის, მონიტორინგის და განვითარების პროცესებს. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. ასევე დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემას. დოკუმენტის გაცნობის და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი შემუშავებულია ხარისხის ციკლის მიხედვით დაგეგმეგანახორციელე-შეაფასე-გადახედე/გაუმჯობესე, რაც უზრუნველყოფს პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის, სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგის და განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობას. როგორც შესაბამის პირებთან გასაუბრებით ირკვევა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულია კითხვარები, რომელთა მეშვეობითაც პერიოდულად ხორციელდება: პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, დამსაქმებლებისა და პარტნიორების გამოკითხვები და ხორციელდება მათი შეფასების ანალიზი. ვიზვიტის დროს, ხარისხის უზურუვლყოფის ხელმძღვანელმა და პროგრამის განმახორციელებლებმა პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, გასაუბრებისას აღნიშნეს მათი ჩართულობა და უკუკავშირი პროგრამის განხორციელბის ხარისხის შესახებ. არსებული მდგომარეობით ძირეული ცვლილებები მიუხედავად დისტანციურად განხორციელებული სასწავლო პროცესისა არ მომხდარა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის მუხლი N14 ითვალისწინებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის წესს, რომლის თანახმად პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიულ სტანდარტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის ან სხვა გარემოებების საფუძველზე. წესები შესაბამისობაშია სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. პროფესიული განათლების შიდა მექანიზმებით გათვალისწინებულია პროგრამების მონიტორინგი და შეფასება. შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე ხდება პროგრამის მოდიფიცირება/ადაპტირება მისი განახლებისუზრუნველსაყოფად; როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასაუბრების შედეგად დადგინდა, ისინი აქტიურად არიან აღნიშნულ პროცედურებში ჩართულნი. თუმცა იმ ეტაპზე რაიმე ცვლილება ან ინიცირება დაწესებულებას პროგრამაში არ განუხორციელებია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- გასაუბრებებით;
- კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების წესით;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის ინდიკატორის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით „საექთნო განათლების“ სასწავლო გეგმა შედგენილია თანმიმდევრულად. დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სასწავლო კურსების წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმის აგებისას გათვალისწინებულია სწავლის შედეგების ხელახალი დადასტურების შესაძლო გონივრული ვადა (2 კვირა). პროფესიულ სტუდენტებთან და პედაგოგებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასწავლო გეგმის მიხედვით. ექსპერტების მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა მოდულების განხორციელების პროცესები, როგორ მიმდინარეობდა, სასწავლო გეგმის შესაბამისად მიმდინარეობდა თუ არა სასწავლო პროცესი და ასევე ქონდათ თუ არა ხელმისაწვდომობა შესაბამის რესურსებთან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელის განმარტებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ატარებს პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას.

ექსპერტთა შეფასებით კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; კოლეჯში არსებული თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი იძლევა საშუალებას ყველა პროფესიული სტუდენტი უზრუნველყოფილი იყოს განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით. კოლეჯის მიერ შემუშავებულია მექანიზმები, რომელიც გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, რომლის მიხედვითაც შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად ხდება პროფესიული სტუდენტის საჭიროებისთვის მორგებული სასწავლო გეგმის შემუშავება, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს/ მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს.ასევე სტუდენტებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ ხორციელდება სტუდენტების გამოკითხვები საჭიროებებთან დაკავშირებით. ამ კომპონენტთან დაკავშირებით, ერთი სტატუსაღდგენილი სტუდენტისათვის შემუშავებული სასწავლო გეგმა წარმოადგინა დაწესებულემამ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებას. საგანმანთლებლო პროგრამა ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს, მოდულებში გამოყენებულია სწავლების აქტიური მეთოდები ინტერაქციული ლექცია, პრეზენტაციები, სემინარი, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით - მუხლი 25. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ყველა პირობა, პროცედურა და მასზე პასუხისმგებელი პირები. დოკუმენტაციით მტკიცდება, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შემდგომში - სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შემდგომში - შშმ) პროფესიული სტუდენტებისათვის, ასევე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისა და სტატუს აღდგენილი სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას. დაწესებულებამ ერთ სტატუსაღდგენილ სტუდენტს გაუკეთა ინ. გეგმა , რაც დასტურდება როგორც დოკუმენტაციით ასევე დაწესბულების წარმომადგენელთან გასაუბრებით. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ამ ეტაპზე შშმ პირი არ ირიცხება.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის ინდიკატორის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

ექსპერტთა შეფასებით კოლეჯი თანამშრომლობს პრაქტიკის ინდიკატორის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებებთან, რაც დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებებით. ამჟამად პრაქტიკაზე იმყოფება 12 პროფესიული სტუდენტი.აქვე აღსანიშნავია ისიც რომ პროგრამის დარგობრივი მოდულების განმახორციელებლები არიან პრაქტიკის ობიექტის წამომადგენელები რაც კიდევ უფრო ადასტურებ პრაქტიკული პროცესის წარმატებით განხორცილების მდგრადობას.დაწესებულებას აგრეთვე ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს პრაქტიკული ინდიკატორის განმახორციელებლებთან.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროფესიულ საგანამანთლებლო პროგრამას ,, საექთნო განათლება“ არ სჭირდება დამატებითი უსაფრთხოების მოთხოვნები. აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 6 ივლისის № 01/29 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- პროგრამის პრაქტიკული ინდიკატორის განმახორციელებელ კლინიკებთან დადებული ხელშეკრულებებით;
- პრაქტიკის ინსტრუქტორებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- პროგრამით;
- კალენდარული გეგმებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- გასაუბრების შედეგებით;

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებიას სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში მუხლი N21 უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შეფასებისას ისეთი კრიტერიუმების გათვალისწინებას, როგორებიცაა: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა, ობიექტურობა. სწავლის შედეგების შეფასების წესი ითვალისწინებს ისეთ ეტაპებს, როგორებიცაა: შესაფასებელი სწავლის შედეგების იდენტიფიცირება; სწავლის შედეგებისათვის შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა; შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა; შეფასების ინსტრუმენტის შექმნა; შეფასების ინსტრუმენტის შემოწმება; შეფასების განხორციელება; შეფასების შედეგების გაფორმება და მტკიცებულებათა შენახვა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმი. დაწესებულების მიერ შექმნილი,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით " განსაზღვრულია ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით კონკრეტული პროგრამის ფარგლებში გამოყენებული იქნება შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებისა და ზოგადად შეფასების სისტემის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ამ პროცესში გამოყენებული იქნება: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია. **სასურველია, დაწესებულებამ ვერივიკაციის მექანიზმში გაწეროს ვერიფიკაციის პერიოდულობა.** გამომდინარე იქედან რომ ვიზიტის პერიოდში დაწესებულება ახორციელბდა პროგრამას, ექსპერტები დაინტერესდნენ თუ იყო უკვე პროგრამის ფარგლებში ვერიფიკაციის პროცესი განხორციელებული, დაწესებულებამ წარმოადგინა უკვე ჩატარებული ვერიფიკაცია პროგრამაზე,, საექთნო განათლება''.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**

დაწესებულებას აქვს შემუშავებული წესი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დაწესებულებაში შემუშავებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი". ამ დოკუმენტით ორგანიზებულია სასწავლო პროცესი. რეგულაციებით გაწერილია ყველა პროცესი, რომელიც პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან არის დაკავშირებული. პროფესიული პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრების შედეგად, დგინდება, რომ ისინი იცნობენ ამ პროცედურებს, სტუდენტებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ შეფასების შედეგები სტუდენტებს ეცნობებათ ინდივიდუალურად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. პროგრამის განმახორციელებელი პირების განცხადებით შეფასების შედეგების ანალიზი ეხმარებათ შეფასების პროცესის შემდგომი განვითარებისთვის. პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელი თითოეული პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტისათვის საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს რეკომენდაციებს. შეფასების სისტემა ითვალისწინებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასება ხორციელდება სისტემატურად და შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით. განმავითარებელი შეფასების შემდეგ, პროფესიული განათლების მასწავლებელი აანალიზებს მიღებულ შედეგებს, რის საფუძველზეც პროფესიულ სტუდენტებს ეძლევათ უკუკავშირი და რეკომენდაციები. განმავითარებელი შეფასება საკონტაქტო საათის აქტივობათა განუყოფელი ნაწილია და ის ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის გადაწყვეტილების შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებით;
- შეფასების ინსტრუმენტების გადამოწმებით;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

თარიღი : 23.12.2022

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: